EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი N 28297/10
თენგიზ ბერიძე
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2015 წლის 15 სექტემბრის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე - ლედი ბიანკუ,

მოსამართლეები - ნონა წოწორია, პოლ მაჰონი,

და სექციის განმწესრიგებელი მოადგილე - ფატოშ არაჩი,

მიიღო მხედველობაში 2010 წლის 30 აპრილს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მიიღო მხედველობაში მოპასუხე მთავრობის მიერ 2015 წლის 27 თებერვალს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომელშიც ითხოვდა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამორიცხვას, ასევე მომჩივნის უარი ეპასუხა ამ დეკლარაციისთვის,

განხილვის შედეგად გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი, ბ-ნი თენგიზ ბერიძე, არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1960 წელს და ცხოვრობს ბათუმში. მას სასამართლოში წარმოადგენდნენ ქ-ნი ქ. ბექაური და ქ-ნი ც. ჯავახიშვილი, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობენ თბილისში.

2. საქართველოს მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ლ. მესხორაძე.

3. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.

4. 2009 წლის აპრილის დასაწყისიდან ივნისის ჩათვლით ოპოზიციის ათასობით მხარდამჭერი ყოველდღიურად მართავდა ქუჩის საპროტესტო აქციებს ქ. თბილისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე და ასევე ქვეყნის რამდენიმე მთავარ ქალაქში პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა გაშალეს ღამის გასათევი ბანაკები, რომლებიც ციხის საკნის მსგავსი პატარა კარვებისგან შედგებოდა. საპროტესტო აქციის მონაწილეების აზრით, ეს ვითომდა ციხის საკნები სიმბოლურად ასახავდა ქვეყნის პოლიციურ სახელმწიფოდ გადაქცევის ფაქტს.

5. მომჩივანი ამ საპროტესტო აქციის ერთ-ერთი მონაწილე იყო, რომელიც 2009 წლის 23 აპრილიდან ცხოვრობდა აღნიშნულ საპროტესტო ბანაკში თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურის წინ („სამინისტროს შენობა“).

6. 2009 წლის 23-25 აპრილს მომჩივანი და პროტესტის მონაწილე მისი სხვა ამხანაგები მოწმე გახდნენ, სამინისტროს შენობის აივნიდან კონკრეტული პირები თუ როგორ ისვროდნენ რეგულარულად პნევმატური იარაღებიდან მათი სიმულაციური საკნების მიმართულებით; ბანაკის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა შემდგომ შესაბამისი ლითონის ბურთულა-ტყვიები.

7. 2009 წლის 25 აპრილს დაახლოებით 16:30 საათზე მომჩივანმა, რომელიც ერთ-ერთ სიმულაციურ საკანში პროტესტის მონაწილე ამხანაგების მოსანახულებლად იყო გასული, მარჯვენა თვალბუდის არეში უეცარი ტკივილი იგრძნო, საიდანაც სისხლი წამოუვიდა. მას თვალბუდის ღია ჭრილობაზე უმალ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, შემდგომ სამედიცინო ექსპერტის მიერ დადასტურდა, რომ ჭრილობა მიყენებული იყო პნევმატური იარაღიდან ნასროლი ლითონის ბურთულა-ტყვიით. აქციის რამდენიმე მონაწილემ დაინახა, როგორ იდგა სამინისტროს შენობის აივანზე პირი პნევმატური იარაღით ხელში და აგრძელებდა მათი მიმართულებით სროლას, მას შემდეგაც კი, როცა მომჩივანი დაიჭრა. მათ შესძლეს, მობილური ტელეფონების კამერებით გადაეღოთ ორი პირი, რომელთა სახეების ამოცნობა მეტნაკლებად შესაძლებელი იყო, რომლებიც იდგნენ სამინისტროს შენობის აივანზე პნევმატური იარაღით ხელში.

8. 2009 წლის 25 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაიწყო მომჩივნის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე. მომჩივანი დაზარალებულად იქნა ცნობილი. იმავე დღეს მომჩივანმა მოითხოვა რამდენიმე საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, სხვებს შორის, მისი და სხვა თვითმხილველების დაკითხვა. მან ასევე მოითხოვა კამერით დაფიქსირებული ვიდეო ჩანაწერის საქმის მასალებზე დართვა, რომელიც სამინისტროს შენობის აივანზე მდგარ პირებს ასახავდა.მან თავისი მოთხოვნა 2009 წლის 28 აპრილს გაიმეორა, მაგრამ მისი ორივე ეს მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა.

9. 2009 წლის 23 ივლისსა და 8 სექტემბერს მომჩივანმა გამოთქვა პრეტენზია გამოძიებაში წინსვლის არარსებობის გამო და მიმართა თბილისის პროკურატურას, რათა ჩართულიყო საქმეში. მომჩივანი აცხადებდა, რომ არ არსებობდა ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოსა და ეჭვმიტანილებს - ამავე სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურის თანამშრომლებს - შორის.

10. 2009 წლის 7 აგვისტოსა და 15 ოქტომბრის საპასუხო წერილებით თბილისის პროკურატურამ აცნობა მომჩივანს, რომ იმ ეტაპზე არ არსებობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიებიდან ჩამოშორების საფუძველი. მეორე მხრივ, პროკურატურამ აღიარა, რომ გამოძიება უნდა დაჩქარებულიყო.

11. 2010 წლის 29 ივნისს მომჩივანმა კვლავ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიების მიმდინარეობის პროგრესის თაობაზე. სამინისტროდან პასუხი არ მიუღია.

სამართალი

12. 2014 წლის 15 სექტემბერს სასამართლომ საჩივრის შესახებ ინფორმაცია გაუგზავნა მთავრობას კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლების შესაბამისად.

13. მთავრობამ 2015 წლის 27 მაისის წერილით შეატყობინა სასამართლოს, რომ მას სურდა საჩივარში არსებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, ცალმხრივი დეკლარაციის წარდგენა. ამასთან, მთავრობა მოითხოვდა საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვას კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.

14. მთავრობის დეკლარაციაში აღნიშნული იყო:

„მთავრობა აღიარებს, რომ საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მომჩივნის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, კერძოდ, 2009 წლის 25 აპრილს საპროტესტო აქციაში მონაწილეობისას მისთვის მიყენებული დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით არსებული გამოძიების ნაკლოვანებების გამო.

წინამდებარე დეკლარაციის ფარგლებში მთავრობა იღებს ვალდებულებას, საქმის გამოძიება დამოუკიდებელ გამომძიებელს (შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის გარეთ) დაავალოს და უზრუნველყოს მომჩივნის პრეტენზიების ეფექტური გამოძიება უფლებამოსილი მაღალი რანგის პროკურორის ზედამხვედველობით, სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების დაცვით.

დამატებით, მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის, გადაუხადოს ბ-ნ ბერიძეს 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ევრო ყველა მატერიალური და მორალური ზიანის, ასევე ყველა ხარჯისა და დანახარჯის დასაფარად, და ყველა სხვა გადასახადის ანაზღაურების სახით, რაც შესაძლოა დაეკისროს მომჩივანს. აღნიშნული თანხა კონვერტირებული იქნება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და განთავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისაგან. გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. თუ ანგარიშსწორება არ განხორციელდა ზემოხსენებულ სამთვიან ვადაში, მთავრობა კისრულობს ვალდებულებას გადასახდელ თანხას დაუმატოს პროცენტი სამთვიანი ვადის ამოწურვის დღიდან ფაქტობრივ გადახდის დღემდე; ამ შემთხვევაში გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი. ..."

15. მომჩივანს ეთხოვა, 2015 წლის 1 აპრილისთვის წარმოედგინა საკუთარი შენიშვნები მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის თაობაზე, თუმცა მას არ წარმოუდგენია. შეხსენება მომჩივანს გაეგზავნა 2015 წლის 22 ივნისს, მაგრამ ისიც უპასუხოდ დარჩა.

16. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად სასამართლოს უფლება აქვს, სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე გადაწყვიტოს, საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა, თუკი გარემოებები მიიყვანს მას ამ მუხლის 1-ლი პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით დადგენილ ერთ-ერთ დასკვნამდე. 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი უფლებას აძლევს სასამართლოს ამორიცხოს საჩივარი, თუ:

"სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზით, საჩივრის შემდგომი შესწავლა აღარ არის გამართლებული".

17. სასამართლო ასევე იმეორებს, რომ გარკვეულ ვითარებაში მას შეუძლია, საჩივარი ამორიცხოს ნუსხიდან 37-ე მუხლის 1-ლი

პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მომჩივანი ითხოვს საქმის განხილვის გაგრძელებას. (იხ. *Taktakishvili v. Georgia* (განჩინება.), no. 46055/06, 2012 წ. 16 ოქტომბერი). ამასთან, მომჩივნის უარი ეპასუხა მთავრობის დეკლარაციისთვის უნდა იქნეს გაგებული, როგორც მისი უარი მიიღოს იგი.

18. დამატებით სასამართლო მიუთითებს, რომ მას შეუძლია, მიიღოს ცალმხრივი დეკლარაცია მაშინაც, თუკი წინასწარ ადგილი არ ჰქონია მეგობრული მორიგების თაობაზე მოლაპარაკებებს (იხ. *Union of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia* (განჩინება), no. 72874/01, §§ 23-30, 2015 წ. 21 აპრილი).

19. ამ მიზნით, სასამართლომ გულდასმით განიხილა დეკლარაცია მისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კერძოდ ტაჰსინ აკარის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე პრინციპების ჭრილში (იხ. *Tahsin Acar v. Turkey* (წინასწარი მოსმენა) [დიდი პალატა], no. 26307/95, 75-77-ე პარაგრაფები, ECHR 2003-VI); *WAZA Spółka z o.o. v. Poland* (განჩინება) no. 11602/02, 2007 წ. 26 ივნისი; და *Sulwińska v.* Poland (განჩინება) no. 28953/03 2007 წ. 18 სექტემბერი).

20. სასამართლო მოიხმობს იმ ფაქტს, რომ მას რამდენიმე საქმეზე, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებზე, უკვე დადგენილი აქვს პრაქტიკა იმ საჩივრების განხილვის თაობაზე, რომლებიც ეხება პრეტენზიებს პოლიციის მხრიდან განხორციელებული ძალადობის და მასზე ადეკვატური გამოძიების არარსებობის თაობაზე (იხ. მაგალითისთვის *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, §§ 105-112, 2014 წ. 7 ოქტომბერი; *Davtyan v. Georgia*, no. 73241/01, §§ 35-47, 2006 წ. 27 ივლისი), ასევე კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევით მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარების უფლების ხელყოფის თაობაზე (იხ. მაგალითისთვის, *Kakabadze and Others v. Georgia*, no. 1484/07, §§ 84-93, 2012 წ. 2 ოქტომბერი; *Osmani and Others v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"* (განჩინება), no. 50841/99, ECHR 2001-X; and *Galstyan v. Armenia*, no. 26986/03, §§ 100-102, 2007 წ. 15 ნოემბერი).

21. მთავრობის მიერ დეკლარაციაში მოცემული აღიარების ხასიათისა და შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობის გათვალისწინებით, რომელიც მოცემულ საქმეში არსებული გარემოებების ადეკვატურია, სასამართლოს არ მიაჩნია

გამართლებულად საჩივრის შემდგომი განხილვა (37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის („გ“) ქვეპუნქტი). (შედარებისთვის იხ. *Botchorishvili v. Georgia* (განჩინება), no. 652/10, 2015 წ. 30 ივნისი).

22. ამასთანავე, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, კერძოდ კი, საკითხზე არსებული ცალსახა და ვრცელი პრეცედენტული სამართლის არსებობის პირობებში, სასამართლო დარწმუნებულია, რომ კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვა არ მოითხოვს საჩივრის შემდგომ განხილვას (37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების შეჯამების შედეგად).

23. ბოლოს კი, სასამართლო ხაზს უსვამს იმას, რომ თუკი მთავრობა არ შეასრულებს ცალმხრივი დეკლარაციის პირობებს, ამას შესაძლოა, მოჰყვეს საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხაში აღდგენა კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად (იხ. საქმე *Josipović v. Serbia* (განჩინება), no. 18369/07, 2008 წლის 04 მარტი).

24. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

ამის გათვალისწინებით სასამართლომ ერთხმად,

გაითვალისწინა კონვენციის მე-3 და მე-11 მუხლების შესაბამისად მოპასუხე მთავრობის მიერ გაკეთებული დეკლარაციის პირობები და ამ დეკლარაციით აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის პროცედურა;

მიიღო გადაწყვეტილება, კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობითი ფორმით 2015 წლის 8 ოქტომბერს.

ფატომ არაჩი	ლედი ბიანკუ
სექციის განმწესრიგებელი მოადგილე	თავმჯდომარე